დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოების საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საბჭოს **დადგენილება** **აფხაზეთის, საქართველო, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხზე საქართველოს პარლამენტის დელეგაციის განცხადების შესახებ**

ითვალისწინებს რა საქართველოს პარლამენტის დელეგაციის განცხადებას ~აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგებათა შესახებ~ თანამეგობრობის მეთაურთა საბჭოს 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილების უსწრაფესი რეალიზაციის საჭიროების თაობაზე,

გამოთქვამს რა დიდ შეშფოთებას ამ კონფლიქტით გამოწვეული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული პრობლემების გადაწყვეტაში პროგრესის არარსებობის გამო,

მიაჩნია რა საჭიროდ, გააქტიურდეს მოლაპარაკების პროცესი კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების მიზნით, და, აგრეთვე, მუდმივი ბინადრობის ადგილებში ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა უსწრაფესი დაბრუნების მიზნით,

საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საბჭო ადგენს:

მიმართოს კონფლიქტში ჩაბმულ მხარეებს მოწოდებით, რაც შეიძლება მალე მიაღწიონ საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით და რუსეთის ფედერაციის მონაწილეობით მნიშვნელოვან შედეგებს კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების საკითხში, უწინარეს ყოვლისა, ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ორგანიზებული დაბრუნების საქმეში.

ეგორ სტროევი, ასამბლეის საბჭოს თავმჯდომარე.

სანკტ-პეტერბურგი, 1996 წლის 17 თებერვალი.

(გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", # 31, 1996 წლის 21 თებერვალი)